

თბილისი

№477/03

24 სექტემბერი 2013წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის №715 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნან შემდეგი მოქალაქეები:

1. ჯითმი საიონა კულასეკარა- შრი ლანკის დემოკრატიული, სოციალისტური რესპუბლიკა;
2. ანუუჯ ვიჯეიარაჯ- ინდოეთის რესპუბლიკა;
3. ედჰუ აშოკ- ინდოეთის რესპუბლიკა;
4. ჰარი კუმარ ასოკან- ინდოეთის რესპუბლიკა;
5. მაკეშკიშორკუმარ მურაგან- ინდოეთის რესპუბლიკა;
6. ლიიმა ანნი თეჯი- ინდოეთის რესპუბლიკა;
7. ჯავაჰარ სრინივას სუნდარაჯ- ინდოეთის რესპუბლიკა.

II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე- მაჰსუმ ჩეთინ.

III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას აზერბაიჯანის მოქალაქე- პარვინა მამმადოვა.

IV. ამ ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2013 წლის 01 ნოემბრამდე.

V. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

VI. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს კ. ჭელიძეს, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VII. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი